სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

ზემო სვანეთი, (მესტიის მუნიციპალიტეტი) კოშკების წინასაპროექტო
დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #3

ქ. თბილისი 24.04.2015წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პაატა გაფრინდაშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე, საკონკურსო კომისიის წევრი, სხდომის თავმჯდომარე.
დიანა ბოლოთაშვილი - ძეგლთა შეფასება-რეაბილიტაციის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
გიორგი სოსანიძე - ძეგლთა რეაბილიტაციის საპროექტო სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
გიორგი მისრიაშვილი - კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა-დოკუმენტირების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის წევრი.
გუგა გოგაძე – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი – შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე.
ეკატერინე ბოლქვაძე – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი – შესყიდვების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდნენ სამსახურებრივი მივლინების გამო:
ნიკოლოზ ანთიძე - გენერალური დირექტორი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
გიორგი გორდელაძე - გენერალური დირექტორის მრჩეველი, საკონკურსო კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ზემო სვანეთი, (მესტიის მუნიციპალიტეტი) კოშკების წინასაპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2015 წლის 7 აპრილს გამოცხადებული N 1599 კონკურსზე კონკურსანტის შპს „პეგა 61"-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა.

კომისიამ მოისმინა:

კომისიის წევრის პ. გაფრინდაშვილი ს გამოსვლა, რომელმაც საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ 2015 წლის 20 აპრილის #10/08/2/683 წერილის შესაბამისად ზემო სვანეთი, (მესტიის მუნიციპალიტეტი) კოშკების წინასაპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ N 1599 კონკურსში მონაწილე კონკურსანტმა შპს „პეგა 61"-მა ა/წ 23 აპრილს სააგენტოში წარმოადგინა დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტაცია.

კომისიამ განიხილა:

შპს „პეგა 61"-ის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტაცია კერძოდ: 1 კონკურსანტის გამოცდილება შესაბამისი პროექტების ჩამონათვალის და მასში საკუთარი სტატუსის მითითებით; 2. ინფორმაცია ყველა მონაწილის კვალიფიკაციისა და პროექტირების გამოცდილების შესახებ CV-ს სახით. 3. სადემონსტრაციო მასალა: 1) სისტემატიზირებული, დასათაურებული უახლესი ფერადი ფოტომასალა; 2) ძეგლთან დაკავშირებული საარქივო ფოტოები. 4. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და სავარაუდო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა **4994.00 (ოთხი ათას ცხრაასოთხმოცდათოთხმეტი)** ლარზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით *(დღგ-ს ჩათვლით);*

შპს „პეგა 61"-ის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტების განხილვის დროს დადგინდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი მომხრეა მიღებულად ჩაითვალოს კონკურსანტის შპს „პეგა 61"-ის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსანტის შპს „პეგა 61"-ის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. ზემო სვანეთი, (მესტიის მუნიციპალიტეტი) კოშკების წინასაპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ კონკურსზე გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „პეგა 61".

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი - „გამარჯვებული გამოვლენილია";

4. **ზემო სვანეთი, (მესტიის მუნიციპალიტეტი) კოშკების წინასაპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით** გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მე-11 მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში (2015 წლის 30 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით) გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება;

5. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მონაწილე კონკურსანტს შპს „პეგა 61“.

სხდომის თავმჯდომარე	/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი	/დიანა ბოლოთაშვილი/
კომისიის წევრი	/გიორგი სოსანიძე/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/
კომისიის აპარატის წევრი	/ეკატერინე ბოლქვაძე/

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 10/08/2/717 "24" 04 2015წ.

შპს „პეგა 61"-ს

გაცნობებთ, რომ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს საკონკურსო კომისიამ განიხილა **ზემო სვანეთი, (მესტიის მუნიციპალიტეტი) კოშკების წინასაპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსში N1599** თქვენს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო წინადადება. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამოვლინდით გამარჯვებულად.

გთხოვთ, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში 2015 წლის 30 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით მობრძანდეთ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ში „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების გასაფორმებლად მისამართზე: ქ.თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

სააგენტოს
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით ლომიტაშვილი

თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. 2 932 411, 2 932 394; ფაქსი (+995 32) 2 932 394
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Georgia. Fax (+995 32) 2 932 394, Phone 2 932 411, 2 932 394
www.heritagesites.ge